# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი №65

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 10/12/2019 წ

სხდომის დაწყების დრო 16:24 სთ

სხდომის დამთავრების დრო 18:34 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ქეთევან ქოქრაშვილი

საბჭოს მდივანი - ნინო ლიპარტია

სხდომის მდივანი - სალომე თოთიბაძე

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი; (საბჭოს თავმჯდომარე);
2. ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი; (საბჭოს მდივანი);
3. ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
4. სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი სიტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
6. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
7. ანა ფირცხალაშვილი - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;
8. დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
9. სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;
10. თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე
11. ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
12. გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

საბჭოს თავმჯდომარე ______________________

ხელმოწერა

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

| № | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | თამთა მოხევიშვილი | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

| № | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1. | თამაზ ხვიჩია | შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი" | რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ - სამეურნეო დარგში | I – II - III |
| 2 | დავით აფხაზავა | შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი" | რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში | I – II - III |
| 3 | მანანა ცერცვაძე | შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი" | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | I – II - III |
| 4 | თამარ სოზიაშვილი | შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი" | ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი | I – II - III |
| 5 | ნანა გვენეტაძე | შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი" | საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი | I – II - III |
| 6 | კლიმენტი ადამია | შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი" | შიდა აუდიტი | I – II - III |
| 7 | თამარ ოქროპირიძე | შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი" | სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი | I – II - III |
| 8 | გურამ ამყოლაძე | შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი" | ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის პროგრამის ხელმძღვანელი | I – II - III |
| 9 | ირმა გრძელიძე | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | IV |

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სახელმწიფო უნივერსიტეტი | | |
| 10 | იოსებ ხელაშვილი | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი | IV |
| 11 | გიორგი ღაღანიძე | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი | IV |
| 12 | ეთერ ხარაიშვილი | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი | IV |
| 13 | ია ნაცვლიშვილი | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი | IV |
| 14 | დავიდ ტერტრი | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, ფრანგულენოვანი სასწავლო პროგრამების კოორდინატორი | IV |

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

| № | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | ნინო კორსანტია | | I |
| 2 | ეკატერინე ბეშკენაძე | | I |
| 3 | ლანდა ლურსმანაშვილი | | I |
| 4 | ვახტანგ თეზიძე | ჩაერთო Skype-ის საშუალებით | I |
| 5 | ნანა შეზონია | | II – III |
| 6 | დავით ჯიქია | ჩაერთო Skype-ის საშუალებით | II – III |
| 7 | დავით ასლანიშვილი | | II – III |
| 8 | ელენე ხურციძე | | II – III |
| 9 | ეკა დევიძე | | IV |
| 10 | მანანა ვასაძე | | IV |

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27[1] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე ________________________

ხელმოწერა

უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27[5] მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ "გეომედის" „სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ "გეომედის" „ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ "გეომედის" „ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამშენებლო სატრანსპორტო ტექნოლოგიური საშუალებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამშენებლო სატრანსპორტო ტექნოლოგიური საშუალებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**1. პირველი საკითხი:** შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | სტომატოლოგია |

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

საბჭოს თავმჯდომარე ______________ ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[2] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 13 დეკემბერი, №277 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3] | სტომატოლოგია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[4] | ერთსაფეხურიანი |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[5] | მეშვიდე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული სტომატოლოგი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0911 დენტალური მედიცინა |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[7] | 0911 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 300 |
| 14 | განხორციელების ადგილი[8] | საქართველო 0114, ქ. თბილისი, მეფე სოლომონ მე-2-ის ქუჩა N4, N6 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

---

2 ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

3 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

4 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

5 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

6 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

7 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

8 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

9 საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ____________________

ხელმოწერა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავჯდომარემ ექსპერტებს მიმართა, რათა მათ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოედგინათ პოზიცია.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა ვახტანგ ტაბიძემ აღნიშნა, რომ მათ ვიზიტის დროს შეაფასეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, რომელიც, მისი თქმით, მიღწევადია და ასევე თანხვედრაშია უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმებთან. თუმცა, როგორც მან აღნიშნა, სასურველია, საგანმანათლებლო მიზნები უნივერსიტეტის სტრატეგიულ ნაწილთან უფრო მეტად მოვიდეს თანხვედრაში, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებას.
აღნიშნულთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა თქვა, რომ მათ გერმანიისა და ბულგარეთის სასწავლებლებთან გააფორმეს მემორანდუმები, თუმცა აღნიშნულ უნივერსიტეტებს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები არ აქვთ, შესაბამისად, სასურველია მემორანდუმების გაფორმება ისეთ უნივერსიტეტებთან, რომლებსაც სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები ექნებათ. რაც შეეხება პრაქტიკას, მისი თქმით, ექსპერტებმა უნივერსიტეტის შენობაში ნახეს სტომატოლოგიური კლინიკა, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ თავისუფლად გაიარონ პრაქტიკა, ასევე მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ კლინიკის ადმინისტრაციას, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, იმ მომენტისთვის არ იყო შეგროვილი მონაცემები იმასთან დაკავშირებით, თუ მაგალითად, რამდენი სტუდენტი რა ინტენსივობით მიმართავს ამ კლინიკას. ასევე, მისი თქმით, სასურველია საერთაშორისო პროგრამებში სტუდენტების მეტი ჩართვა, რაც პირდაპირ თანხვედრაშია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან.
ექსპერტმა, ნინო კორსანტიამ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან დაკავშირებით დაამატა, რომ ვიზიტის დროს გაცვლით პროგრამაში სტუდენტის ჩართვის არცერთი შემთხვევა არ იყო დაფიქსირებული. მისი თქმით, დაწესებულების მხრიდან კონკრეტულ თარიღად 30 ოქტომბერი იყო დასახელებული. ასევე, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი, მათ აქვთ სტომატოლოგიური კლინიკა, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ პაციენტები, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაცია, რომ მათ აწარმოონ იმ სტუდენტების პრაქტიკის ამსახველი დღიური, რომლებიც მომსახურეობას უწევენ კლიენტებს, აღნიშნული რეკომენდაციის მიზანია რომ განასხვავონ სტუდენტები, რომლებიც გადიან ამ პრაქტიკას, იმ სტუდენტებისგან, რომლებიც პასიური მაყურებლები არიან.
საბჭოს თავჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენად ხშირად გამოთქვამენ პაციენტები სტუდენტების მომსახურეობის სურვილს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ, რადგან მკურნალობა არის თვითღირებულების შესაბამისი, პაციენტები ხშირად თანხმდებიან ასეთ მომსახურებას. გარდა ამისა, სტუდენტები, ხელმძღვანელის ზედამხედველობით, ერთმანეთსაც უტარებენ სხვადასხვა პროცედურებს.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სილაბუსების აგებულებაში ფარული შეცდომებია გაპარული. მისი თქმით, თვითონ თვითშეფასების დოკუმენტიც ძალიან მწირია, რაზეც მუშაობა ძალიან გაუჭირდათ. რაც შეეხება გამოცდის ფორმას, როგორც მან აღნიშნა, მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტში OSCE-ის ტიპის გამოცდების ჩატარება იგეგმება, რასთან დაკავშირებითაც არსებობს რჩევა, რომ ოსკისთვის სადგურზე გასაჩერებლად 2 წუთი არის მცირე დრო. მისი თქმით, იმის გამო, რომ ბევრი სასწავლო კურსის

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

დამამთავრებელი გამოცდა არის თეორიული, არსებობს რეკომენდაცია, რომ სილაბუსს დაემატოს სტუდენტის პრაქტიკული უნარების შემოწმებაც. ასევე, როგორც მან აღნიშნა, სასურველია სილაბუსებში სასწავლო კურსების თანმიმდევრობა იყოს დაცული.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა გვენეტაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა 30-31 ოქტომბერს Erasmus-ის საკონტაქტო სემინარში მიიღო მონაწილეობა. აღნიშნულ სემინარში მონაწილეობას იღებდნენ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები. როგორც მან აღნიშნა, უნივერსიტეტს მათთან მომავალი თანამშრომლობის იმედი აქვს. ასევე, მან გლობალური სივრცის ინტეგრირების კუთხით აღნიშნა, რომ 10 ნოემბერს უნივერსიტეტს დელეგაცია სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ინდოეთის Supak-ის უნივერსიტეტში, სადაც დაათვალიერეს საუნივერსიტეტო კამპუსები, ჰოსპიტალები, საავადმყოფოები, სტომატოლოგიური კლინიკები და ასევე, მათთან გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებითაც დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ აქვთ მემორანდუმი გერმანიის შტაინბაისის უნივერსიტეტთან, სადაც გაცვლითი პროგრამით იმყოფება მენეჯმენტის ფაკულტეტის ერთ-ერთი სტუდენტი. რაც შეეხება ინდოეთში ვიზიტს, მისი თქმით, ისინი თანახმანი არიან ინდოეთში მათი სტუდენტები პრაქტიკულ სამუშაოებში ჩართონ.
საბჭოს წევრი, ნინო ლიპარტია დაინტერესდა, თუ რატომ შეირჩა ინდოეთში პრაქტიკები, ჰქონდათ თუ არა მათ რაიმე მიღწევები ამ კუთხით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ Supak-ის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მემორანდუმი აქვთ გაფორმებული, რომელსაც 40 000 სტუდენტზე გათვლილი კამპუსი, 4 საავადმყოფო და 2 სტომატოლოგიური კლინიკა აქვს. მისი თქმით, ის ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია ინდოეთში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ ოქროპირიძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები თანხვედრაშია მის მისიასთან. ის იმედოვნებს, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს სამუშაოდ როგორც, ინდოეთში, ასევე, სხვა ქვეყნებშიც გაუშვებს. რაც შეეხება კლინიკურ უნარ-ჩვევებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, მისი განმარტებით, სტუდენტების მუშაობა არის სავალდებულო და 25 წლიანი ისტორიის განმავლობაში ისინი სტუდენტებს სტომატოლოგიურ კლინიკებში ყოველთვის ანაწილებენ. მისი თქმით, სტუდენტების შეფასება, როგორც საკვალიფიკაციო გამოცდებში, ისე კურსდამთავრებულების სასერთიფიკაციო გამოცდებზე საკმაოდ მაღალია, რასაც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ყოველთვის აღნიშნავს.
რაც შეეხება პრაქტიკის დღიურებს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ სპეციალურად შემუშავებული ფორმა, სადაც ინიშნება სტუდენტების შეფასება, აღნიშნულ დღიურში დეტალურადაა გაწერილი ინფორმაცია, იმის შესახებ, თუ მეცადინეობის პერიოდში ესა თუ ის მანიპულაცია რამდენ ქულას შეესაბამება და შესაბამისად გარკვეულ მეცადინეობაზე რა რაოდენობის შეფასება დააგროვა სტუდენტმა.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე, თქვა, რომ სილაბუსებში ტექნიკური უზუსტობები უკვე გასწორდა, ხოლო, თანმიმდევრობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი პირის ღრუს გახსნას ასწავლიან, როგორც პირველ, ისე მეორე ნაწილში, ოღონდ პირველ ნაწილში პირის ღრუს ანთების, მეორე ნაწილში კი პეროდონტიტების ანთების შემთხვევაში.
საიზოლაციო სისტემების შესახებ გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტები საიზოლაციო სისტემებს მეორე სემესტრში, „კლინიკურ უნარ 2-ში" სწავლობენ.
როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა რომ სტომატოლოგიის სტანდარტში არ არის OSCE-ის გამოცდის მოთხოვნა, მათ მაინც დაიწყეს ოსკის (OSCE) გამოცდები.
პრაქტიკული გამოცდის კუთხით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისინი სტუდენტებს პაროდონტოლოგიასა და ლორწოვანი გარსის დაავადების განხილვისას, სასწავლო კურსის ბოლოს, უტარებენ ტესტურ და სიტუაციურ გამოცდას, სადაც, კონკრეტული ავადმყოფის მაგალითზე მოწმდება, სტუდენტის გუნდურობა და პრობლემის გადაწყვეტის უნარი. მისი თქმით, მათ OSCE-ის გამოცდა აქვთ მხოლოდ „კლინიკური უნარი 1-ში", „კლინიკური უნარი 2-ში" და „თერაპიული სტომატოლოგიის" რამდენიმე სემესტრში, როგორც მან აღნიშნა, მათ აქვთ ადამიანური და მატერიალური რესურსი, რათა ოსკის (OSCE) გამოცდა სპეციალიზაციის ყველა დარგში ჩართონ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, საუნივერსიტეტო კლინიკის სტერილიზაციასთან და ინფექციის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით თქვა, რომ აღნიშნული საკითხი სრულად მოწესრიგებულია.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

მისი თქმით, ვიზიტის დროს ენდოდონტური ინსტრუმენტები ტეტრის ფინჯანში იყო მოთავსებული, რომელიც სახეობის შესასწავლად და ინსტრუმენტის სწორად გამოსაყენებლად იყო განკუთვნილი. რაც შეეხება სტერილიზაციას, მისი თქმით, ის კანონის შესაბამისად ტარდება, პაციენტის მიღებისას ინსტრუმენტები არის შეფუთულ მდგომარეობაში, სტუდენტი კი პაციენტს ხელმძღვანელის ზედამხედველობით და ასისტირებით იღებს.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები პრერეკვიზიტებთან, სილაბუსის უზუსტობებთან და სასწავლო კურსების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით, ძალიან მკაცრია, შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა საგანმანათლებლო პროგრამა საბოლოოდ თუ გადიოდა შედეგზე.

ექსპერტმა განმარტა, რომ გამოტოვებული გამოცდის ფორმები ყველა ქირურგიის სილაბუსშია დაფიქსირებული, ამასთან დაკავშირებით, ვიზიტისას ქირურგიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არის ტექნიკური შეცდომა, თუმცა რადგან ვიზიტის დროს სილაბუსი არასწორად იყო შედგენილი, გაიცა აღნიშნული რეკომენდაციაც. ასევე, ექსპერტის თქმით, თერაპიის სილაბუსში ენდოდონტიის საკითხები არათანმიმდევრულადაა დალაგებული. კერძოდ, ნაბიჯი 1-მდე ასწავლიან ნაბიჯ 2-ს, რასთან დაკავშირებითაც, ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ენდოდონტია 1" და „ენდოდონტია 2-ის" შემთხვევაში ის რეკომენდაციას არ ეთანხმება, იქიდან გამომდინარე, რომ ორივე შემთხვევაში ისინი სტუდენტს არხების ენდოდონტურ პრეპარირებას ასწავლიან, ანუ კბილის ღრუს გახსნას, შემდეგ კი მედიკამენტის გამოყენებას და საბჟენ მასალებს. მისი განმარტებით, „ენდოდონტია 1-ში" ისინი პულპიდების მკურნალობას იხილავენ, შემდეგ სემესტრში კი - კბილის ღრუს გარსის პერიოდინტების მკურნალობის თავისებურებების გათვალისწინებით. რაც შეეხება გამოცდებს, მან თქვა, რომ ქირურგიული სტომატოლოგიური გამოცდა არის ტესტური და სიტყვა „ტესტური" იყო გამოტოვებული, რაც რა თქმა უნდა შესწორდა. დიფერენციული დიაგნოზის სწავლებასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ მათ აქვთ ავადმყოფის გამოკვლევის მეთოდები, კერძოდ, ბოროვსკის ლიტერატურის სტომატოლოგია, რომლის მე-4 თავში სტომატოლოგიურ ავადმყოფთა გამოკვლევის მეთოდებია განხილული: პაციენტის გამოკვლევა, ანალიზის შეკრება, პაციენტის კვლევის მეთოდები, ანკეტირება, დიაგნოზისა და სხვა.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა სტერილიზაციასთან დაკავშირებით, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსგან მუდმივ შემოწმებას გადიან. მისი თქმით, ვიზიტისას, წარჩენებთან ერთად მოთავსებული იყო სარეზერვო კომპრესორი, რომელიც გამოტანილი იქნა იმ ოთახიდან, სტერილიზაცია კი ტარდება კანონმდებლობის შესაბამისად. მისი თქმით, ინსტრუმენტები ტეტრის ფინჯანზე სწავლების მიზნით იყო განთავსებული, ხოლო პაციენტთან ინსტრუმენტი მის თვალწინ იხსნება.

საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ ჯანმრთელობის დაცვის „სამედიცინო სამართლის" სილაბუსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა გასავლელ საკითხებთან მიმართებით არარელევანტურია. მისი თქმით, სილაბუსში, ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ კანონები, მაშინ როცა სილაბუსში მოცემულია ისეთი საკითხები, როგორიცაა წამების აკრძალვა, ჯანმრთელობის უფლება და სხვა.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე დაინტერესდა რამდენად გამართული იყო სიმულაციური ბაზა და რამდენად შეესაბამებოდა ის თანამედროვე სტანდარტებს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ სიმულაციური ბაზა არის განახლებული, ხოლო, საფანტომო კურსი - განახლების პროცესშია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ თავისი ფუნქციიდან გამომდინარე მათ აქვთ სრულიად ახალი სიმულაციური კაბინეტი.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა სტუდენტების მიღების დინამიკასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ზოგადად ქართულენოვან პროგრამებზე ქართულენოვანი სტუდენტების რაოდენობა შემცირდა, რადგან მათ ჰყავთ უცხოენოვანი სტუდენტების დიდი რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მანანა ცერცვაძემ აღნიშნულთან დაკავშირებით დაამატა, რომ უნივერსიტეტის ზღვრული კვოტა არის 900, რომელიც შევსებულია. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, თუ გაიზრდება ზღვრული კვოტა, ისინი გეგმავენ 4 წლის განმავლობაში 45-45 მისაღები ადგილის გამოცხადებას.

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ განმარტა, რომ დიპლომირებული სტომატოლოგიის აღზრდა საკმაოდ ძვირია და 12 სტუდენტის მიერ გადახდილი თანხა საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად ვერ იქნება თვითკმარი.
ექსპერტმა სტერილიზაციასთან დაკავშირებით დაამატა, რომ ინსტრუმენტები ტეტრის ფინჯანში იყო წარმოდგენილი, მას არ ჰქონდა თარიღი აღნიშნული, ასევე, მისი თქმით, სასტერილიზაციო ჟურნალში არ იყო მითითებული მარკერები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტს უპასუხა, რომ სტერილიზაციასთან დაკავშირებით არსებობს ამსახველი ჟურნალი, რომელიც შესაძლოა ვიზიტის დროს ექთანმა არ წარადგინა. რაც შეეხება თარიღს, მისი თქმით, შეიძლება ის არ აწერია, თუმცა ხდება გადასტერილება და იმ დღეზე მეტი დროით მისი დაყოვნება არ ხდება.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 17:09 სთ
დამთავრების დრო - 17:16 საათზე

17:05 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ ნატო გენგიური და დენიტა ბიბილეიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

1. საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას V

საბჭოს მიერ, „სამედიცინო სამართლის" სილაბუსში არსებული საკითხებისა და ლიტერატურის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაიცა დამატებითი რეკომენდაცია აღნიშნული სილაბუსის მოწესრიგების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^{2}$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^{5}$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, $27^{6}$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის"

საბჭოს თავმჯდომარე ______________________
ხელმოწერა

„სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლის ვადით, 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10] | სტომატოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[11] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 13 დეკემბერი, №277 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12] | სტომატოლოგია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[13] | ერთსაფეხურიანი |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[14] | მეშვიდე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული სტომატოლოგი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0911 დენტალური მედიცინა |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[16] | 0911 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 300 |
| 14 | განხორციელების ადგილი[17] | საქართველო 0114, ქ. თბილისი, მეფე სოლომონ მე-2-ის ქუჩა N4, N6 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

17:17 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა ნინო ლიპარტიამ.

---

[10] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[11] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[12] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[13] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[14] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[15] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[16] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[17] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[18] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

2. მეორე საკითხი : შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19] | ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[20] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 13 დეკემბერი, №273 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21] | ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[22] | ბაკალავრიატი |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[23] | მეექვსე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[25] | 0413 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი[26] | საქართველო 0114, ქ. თბილისი, მეფე სოლომონ მე-2-ის ქუჩა N4, N6 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[23] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[24] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[25] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[26] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[27] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ______________________ ხელმოწერა

3. მესამე საკითხი: შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28] | ჯანდაცვის მენეჯმენტი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[29] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 13 დეკემბერი, №274 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[30] | ჯანდაცვის მენეჯმენტი |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[31] | მაგისტრატურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[32] | მეშვიდე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[33] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[34] | 0413 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი[35] | საქართველო 0114, ქ. თბილისი, მეფე სოლომონ მე-2-ის ქუჩა N4, N6 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[36] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

[28] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[29] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[30] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[31] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[32] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[33] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[34] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[36] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

17:19 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი - სალომე თოთიბაძე.
საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავჯდომარემ ექსპერტებს მიმართა, რათა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოედგინათ მათი პოზიცია.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, ნანა მებონიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი 2019 წლის 1-2 ოქტომბერს განხორციელდა. მისი თქმით, ვიზიტი შედგა მშვიდ გარემოში, განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტები გაეცნენ მოთხოვნილ დოკუმენტებს და დაათვალიერეს სასწავლო ბაზა. მისი თქმით, ერთადერთი დოკუმენტი, რომელზეც მათ წვდომა არ ჰქონდათ, იყო უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით უახლესი ინფორმაცია. შესაბამისად, არსებობს რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის შედგენის წესი, ასევე, რეკომენდებულია ფაკულტეტის კრედიტისა და რემონტის ხარჯის სპეციფიკისა და დანიშნულების გარკვევა. ექსპერტის განმარტებით, არსებობს რეკომენდაცია შიდა ხარისხთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია სილაბუსების შინაარსისა და სტრუქტურის გამორჩეული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და კონტროლი. მისი თქმით, 5 სტანდარტიდან, 4 შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისი მოთხოვნებთან", ხოლო ერთი სტანდარტი, როგორც – „მეტწილად შესაბამისი".
ექსპერტმა დავით ჯიქიამ აღნიშნა, რომ მათ აქცენტირება ხარისხის გარე შეფასების მექანიზმებზე და საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებაზე გააკეთეს. მისი თქმით, რეკომენდებულია გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად კონკრეტული მოკლე და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების გაწერა და გარე შეფასებაში ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს, როგორც მან აღნიშნა, ის შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას.
საბჭოს თავჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ აქვთ საერთო ბიუჯეტი, ასევე შეიმუშავეს ბიუჯეტის წესი და დებულება.
საბჭოს თავჯდომარემ განმარტა, რომ ფაკულტეტისთვის და მითუმეტეს საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, ცალკე ბიუჯეტის წესი არ დგება, რადგან აღნიშნულს კანონი არ ითვალისწინებს, შესაბამისად საბჭოს თავჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა, დაეზუსტებინათ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით არსებული რეკომენდაცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ ისინი აღნიშნულთან დაკავშირებით გაეცნენ დაწესებულების წერილსაც, სადაც უნივერსიტეტი უარყოფს, რომ მას ბანკის მიმართ რაიმე სესხი ან დავალიანება გააჩნია, თუმცა მათ ვიზიტისას ნახეს რექტორის მიერ ხელმოწერილი საბუთი, სადაც ჩანს, რომ სკოლას 2019–2020 წლის

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

ბიუჯეტის მიხედვით გადასახდელი ჰქონდა 1,635 ლარი, ხოლო, 2018–2019 წლებში გადასახდელი ჰქონდა 19,922 ლარი. მისი თქმით, ვიზიტის დროს ექსპერტებმა მოითხოვეს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შრომის ანაზღაურების გაცემის და კრედიტის შესახებ ინფორმაცია. უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2012, 2016, 2018, 2019 წლების ამონაწერები, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ დაწესებულება არის „პ.ბ"-ის იპოთეკარი.
საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომერციული იურიდიული პირი, რომელსაც უფლება აქვს, მხოლოდ რეინვესტირების და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით აიღოს სესხი. საბჭოს თავჯდომარემ დააზუსტა, რომ მათ აინტერესებთ მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა არის ფინანსურად მდგრადი. რაც შეეხება კრედიტს, მან განმარტა, რომ უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სარეზერვო ფონდიდან მომხდარიყო კრედიტის სრული დაფარვა, როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, ახალი ამონაწერის მიხედვით მათ ვალი აღარ აქვთ. მისი თქმით, ვიზიტისას დაფარული იყო კრედიტი, თუმცა იმ მომენტისთვის ინფორმაცია საჯარო რეესტრში არ იყო განახლებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა სთხოვა ექსპერტებს განემარტათ სილაბუსებთან დაკავშირებული რეკომენდაცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ ერთ-ერთი სილაბუსი სხვა უნივერსიტეტში მოქმედი სილაბუსის მსგავსია. მისი თქმით, იმისათვის, საგანმანათლებლო პროგრამები იყოს უფრო მეტად ავტონომიური, სასურველია, მეტი კავშირი სხვა სამედიცინო დაწესებულებებთან.
ექსპერტმა დავით ჯიქიამ განმარტა, რომ ფინანსურ ინსტიტუტთა ბაზრების სილაბუსი თსუ-ს ერთ-ერთი საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსის მსგავსია. მისი თქმით, მხოლოდ ავტორებია განსხვავებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტში ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. სილაბუსი შემუშავებულია ხ.ბ-ის მიერ, რომელიც არის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და ამავე დროს თსუ-ს თანამშრომელი. ის ვერ ხედავს პრობლემას იმაში, რომ მათი სილაბუსი გავდეს თსუ-ს ერთ-ერთი პროგრამის სილაბუსს.
საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ფინანსებსა და აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას ერთი და იგივე მიზნები ვერ ექნება. მისი თქმით, უმჯობესია საავტორო უფლების დაცვის მიზნით უნივერსიტეტმა გადახედოს სილაბუსს.
საბჭოს თავჯდომარემ შუამდგომლობა დააყენა, რათა გადასულიყვნენ შემდეგ საკითხზე. საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ თავჯდომარეს.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით არსებობს იგივე რეკომენდაციები.
საბჭოს თავჯდომარემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ვალდებულება არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამაზე ცალკე ბიუჯეტი შეადგინოს.
ექსპერტმა განმარტა, რომ სურს დადგინდეს ის ფინანსური რისკები, რის წინაშეც შეიძლება საგანმანათლებლო პროგრამა დადგეს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს ამ ეტაპზე ბანკის მიმართ არანაირი ფინანსური ვალდებულება არ გააჩნია. მისი თქმით, უნივერსიტეტს ბალანსზე გააჩნია გაქირავებული ფართი და სტომატოლოგიური კლინიკა, რომელიც ასევე შემოსავლიანია. შესაბამისად, უნივერსიტეტს მისი სოლიდური რეზერვიდან გამომდინარე, არ შეიძლება გააჩნდეს ფინანსური პრობლემა. ასევე, როგორც მან აღნიშნა, უნივერსიტეტში გაიხსნა ახალი სარეაბილიტაციო კლინიკა, რომლის ანალოგიც, თავისი უახლოესი დანადგარებიდან გამომდინარე, საქართველოში არ არსებობს.
დაწესებულების წარმომადგენელმა რექტორის ბრძანებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, მას შემდეგ, რაც

საბჭოს თავმჯდომარე ______________________ ხელმოწერა

საწარმოები ესტონურ მოდელზე გადავიდნენ, მათი საწარმო მე-3 კატეგორიაში მოხვდა. ასევე, მისი თქმით, საწარმოს შედეგების ნახვა ექსპერტებს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ვებ-გვერდზე.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტს, მისი 24 წლიანი არსებობის პერიოდის განმავლობაში, ყოველ წელს აქვს მოგება. სწორედ აქედან გამომდინარე, მათ აქვთ სარეზერვო ფონდი. კრედიტთან დაკავშირებით კი თქვა, რომ უნივერსიტეტმა სესხი აიღო გასაქირავებელი სკოლის შეძენის მიზნით. მისი თქმით, დღეის მდგომარეობით უნივერსიტეტს აღებული კრედიტი მთლიანად დაფარული აქვს.

საბჭოს წევრი ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა, უნივერსიტეტში ისწავლებოდა თუ არა ჯანდაცვის რეგულაციები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჯანდაცვის რეგულაციები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულია „ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკისა და კანონმდებლობის" სილაბუსში და მე-5 სემესტრში ისწავლება.

საბჭოს წევრი ხათუნა თოდაძე დაინტერესდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დაცვასთან დაკავშირებით, კერძოდ, მან ყურადღება გაამახვილა რეცენზენტების რაოდენობაზე, შეფასების სისტემაზე და აპელაციის მექანიზმებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ჰყავთ 1 რეცენზენტი. მისი თქმით, პროცედურულად ჯერ ხდება სამაგისტრო ნაშრომის წინა დაცვა, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, რომ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო დაცვისთვის გაითვალისწინონ გარკვეული შენიშვნები. ასევე, როგორც მან აღნიშნა, უნივერსიტეტმა პლაგიატის აღმოჩენის თაობაზე ხელი მოაწერა კონსორციუმ 2017-ს, რის შედეგადაც მიღებული გამოცდილების საფუძველზე, შეამოწმეს შარშანდელი სამაგისტრო ნაშრომებიც და სტუდენტებს შენიშვნების გამოსასწორებლად გარკვეული ვადა მისცეს.

ასევე, მან დაამატა, რომ უნივერსიტეტში ისწავლება სამეცნიერო კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა ბაკალავრიატში, სადაც სტუდენტებს მათ პასუხისმგებლობას და ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს უხსნიან.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა, საბოლოო სამაგისტრო დაცვაზე უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, ჰქონდა თუ არა სტუდენტს ნაშრომის ხელახალი რეცენზირების შესაძლებლობა და ასევე, ის დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების მექანიზმებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტს შეუძლია გააპროტესტოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურაც და შინაარსიც. მისი თქმით, უნივერსიტეტს გასაჩივრების პროცედურები სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში აქვს გაწერილი.

საბჭოს წევრი ანა ფირცხალაშვილის თქმით, როდესაც ხდება შინაარსის გაპროტესტება, დგება კომპეტენციის საკითხის პრობლემა, რადგან ერთმა კოლეგიურმა ორგანომ შეიძლება სხვა რამე დაადგინოს და მეორემ სხვა. მისი თქმით, აღნიშნული საკითხი პრობლემურია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა პრობლემატური საკითხის განხილვა ხდება წინასწარი დაცვის დროს, რომელიც მე-17 კვირას ტარდება. მისი თქმით, სტუდენტს ეძლევა დრო და საშუალება, სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო დაცვისთვის გაითვალისწინოს შენიშვნები.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ დაცვის კომისიის შემადგენლობაში, უმეტესწილად არიან წინადაცვის პროფესორები, რომლებმაც თემის აქტუალობასთან და შინაარსთან დაკავშირებით უკვე გასცეს შენიშვნები.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე დაინტერესდა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. მან სთხოვა დაწესებულებას, უფრო დეტალურად ესაუბრათ სტუდენტების კონსულტირებასთან დაკავშირებულ შენიშვნაზე. მისი თქმით, ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები საკონსულტაციო სერვისებთან დაკავშირებით არ არიან ინფორმირებულები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძირითად ცხრილთან ერთად დგება კონსულტაციების ცხრილი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ასევე, მათ აქვთ ელექტრონული მართვის სისტემა, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია, რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას, მისი თქმით, დაიშვა პრეცენდენტი და მტაინბაისის უნივერსიტეტში, გაცვლითი პროგრამით გაუშვეს მენეჯმენტის ეკონომიკის პროგრამის სტუდენტი. რაც შეეხება უ. ტ-ს, მისი თქმით, ის არის მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის კონსულტანტი.

საბჭოს თავმჯდომარე ______________ ხელმოწერა

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 17:59 სთ
დამთავრების დრო - 18:12 სთ

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

1. საბჭო საერთოდ არ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას V

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „a" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „a" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37] | ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[38] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 13 დეკემბერი, №273 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[39] | ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[40] | ბაკალავრიატი |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[41] | მეექვსე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი |

[37] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[38] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[39] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[40] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[41] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

საბჭოს თავმჯდომარე ______________________ ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| | | მენეჯმენტში |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[42] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[43] | 0413 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი[44] | საქართველო 0114, ქ. თბილისი, მეფე სოლომონ მე-2-ის ქუჩა N4, N6 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[45] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

1. საბჭო საერთოდ არ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას ✓

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-$3^1$ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის

---

[42] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[43] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[44] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[45] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ____________________

ხელმოწერა

„ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" „ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[46] | ჯანდაცვის მენეჯმენტი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[47] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 13 დეკემბერი, №274 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[48] | ჯანდაცვის მენეჯმენტი |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[49] | მაგისტრატურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[50] | მეშვიდე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[51] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[52] | 0413 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი[53] | საქართველო 0114, ქ. თბილისი, მეფე სოლომონ მე-2-ის ქუჩა N4, N6 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[54] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

[46] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[47] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია, ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[48] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[49] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[50] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[51] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[52] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[53] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[54] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ______________________

ხელმოწერა

4. მეოთხე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[55] | ტურიზმი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | კი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუმიერის უნივერსიტეტის |
| 3 | სტატუსი[56] | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[57] | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[58] | მაგისტრატურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[59] | მეშვიდე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ტურიზმის მაგისტრი (Master in Tourism, Master en tourisme) |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[60] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[61] | 1015 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული[62] |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი[63] | საქართველო 0186, ქ. თბილისი უნივერსიტეტის ქ. №2, თსუ X (მაღლივი)კორპუსი |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[64] | - |

---

[55] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[56] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[57] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[58] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[59] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[60] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[61] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[62] ფრანგულენოვანი კომპონენტით

[63] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[64] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ______________________

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

ლევან გორდეზიანი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.
საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოედგინათ მათი პოზიცია.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, მანანა ვასამემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი 2019 წლის 8 ნოემბერს განხორციელდა. მისი თქმით, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის ერთობლივი და გაიცემა ორმაგი ხარისხის დიპლომი. რაც შეეხება რჩევებს, ექსპერტს თქმით, სასურველია, სამაგისტრო ფაკულტეტზე მისაღებ შიდა გამოცდას, ტურიზმის საგანში, დაემატოს მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების საკითხები. ასევე, სასურველია ფრანგულენოვანი კომპეტენციის კუთხით, წინასწარ განისაზღვროს სამიზნე ჯგუფი, რაც მისი თქმით, მისაღები კონტიგენტის გაზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ ექსპერტებს რჩევებისათვის და კონსტრუქციული ვიზიტისათვის მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, ამ პროცესს ხანგრძლივი პროცესი უძღვოდა წინ. როგორც მან აღნიშნა, ეს არის მეორე საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო, ქართულ-ფრანგულ ფრაგმენტში – პირველი აკრედიტაცია. მისი თქმით, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აიღოს ორმაგი, თსუ - სა და ფრანგული უნივერსიტეტის, ხარისხი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დავიდ ტერტრი იყო უშუალოდ ყველა ეტაპის მონაწილე.

საბჭოს წევრმა, სალომე თოთიბაძემ სთხოვა დავიდ ტერტრის რამდენიმე სიტყვით შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარე ______________

ხელმოწერა

დავიდ ტერტრიმ საგანმანათლებლო პროგრამაზე აღნიშნა, რომ ის ორგანიზაციულად მზად არის, ყველა სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ასევე, მან დადებითად შეაფასა თსუ-ს უნივერსიტეტთან ურთიერთობა.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

1. საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას √

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-$3^1$ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 4 წლის ვადით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[65] | ტურიზმი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | კი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუმიერის უნივერსიტეტის |
| 3 | სტატუსი[66] | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[67] | - |

[65] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[66] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[67] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე ______________________

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[68] | მაგისტრატურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[69] | მეშვიდე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ტურიზმის მაგისტრი (Master in Tourism, Master en tourisme) |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[70] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[71] | 1015 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული[72] |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი[73] | საქართველო 0186, ქ. თბილისი უნივერსიტეტის ქ. №2, თსუ X (მაღლივი)კორპუსი |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[74] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამშენებლო სატრანსპორტო ტექნოლოგიური საშუალებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 და მე-6 საკითხების განხილვა გადაიდო კვორუმის არარსებობის გამო.

საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი

საბჭოს მდივანი ნინო ლიპარტია

სხდომის მდივანი სალომე თოთიბაძე

[68] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[69] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[70] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[71] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/6) შესაბამისი კოდი
[72] ფრანგულენოვანი კომპონენტით
[73] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[74] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში